



**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №57
2017 წლის 22 დეკემბერი
ქ. მარტვილი**

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, „დ.ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლისა და 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

ა) განისაზღვროს:

ა.ა) შემოსულობები 7370.8 ათასი ლარით;

ა.ბ) გადასახდელეები 7370.8 ათასი ლარი;

ა.გ) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადმოსაცემი ტრანსფერი 5655.8 ათასი ლარი, აქედან:

ა.გ.ა) გათანაბრებითი ტრანსფერი 5500.8 ათასი ლარი;

ა.გ.ბ) მიზნობრივი ტრანსფერი 155.0 ათასი ლარი;

ა.დ) სარეზერვო ფონდი 40.0 ათასი ლარი.

მუხლი 2.

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით, დადგენილების დანართი (მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი) ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 3.

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „მარტვილის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 23 დეკემბრის №21 დადგენილება.

მუხლი 4.

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 1 იანვრიდან.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტი

თავი I

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 423,1	10 317,6	3 344,3	6 973,4	7 270,8	0,0	7 270,8
გადასახადები	1 091,7	1 180,0	0,0	1 180,0	920,0	0,0	920,0
გრანტები	8 859,9	8 743,6	3 344,3	5 399,4	5 655,8	0,0	5 655,8
სხვა შემოსავლები	471,4	394,0	0,0	394,0	695,0	0,0	695,0
ხარჯები	6 049,4	5 896,9	0,0	5 896,9	6 392,2	0,0	6 392,2
შრომის ანაზღაურება	1 833,7	1 551,5	0,0	1 551,5	1 555,7	0,0	1 555,7
საქონელი და მომსახურება	834,6	888,5	0,0	888,5	1 154,3	0,0	1 154,3
პროცენტი	66,7	94,8	0,0	94,8	141,1	0,0	141,1
სუბსიდიები	2 173,9	2 622,3	0,0	2 622,3	2 694,2	0,0	2 694,2
გრანტები	5,0	0,6	0,0	0,6	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	631,3	559,3	0,0	559,3	635,8	0,0	635,8
სხვა ხარჯები	504,3	179,9	0,0	179,9	211,1	0,0	211,1
საოპერაციო სალდო	4 373,6	4 420,7	3 344,3	1 076,4	878,6	0,0	878,6
არაფინანსური აქტივების ცვლილება	5 142,0	4 943,4	3 625,4	1 318,0	801,2	0,0	801,2
ზრდა	5 205,8	5 023,4	3 625,4	1 398,0	901,2	0,0	901,2
კლება	63,8	80,0	0,0	80,0	100,0	0,0	100,0
კლება	782,1	592,0	281,1	310,9	0,0	0,0	0,0
ვალუტა და დეპოზიტები	782,1	592,0	281,1	310,9	0,0	0,0	0,0
კლება	13,7	69,3	0,0	69,3	77,4	0,0	77,4
საშინაო	13,7	69,3	0,0	69,3	77,4	0,0	77,4
ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები	სულ	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	10439,3	10397,6	3344,3	7053,4	7370,8	0,0	7370,8
შემოსავლები	10423,1	10317,6	3344,3	6973,4	7270,8	0,0	7270,8
არაფინანსური აქტივების კლება	16,3	80,0	0,0	80,0	100,0	0,0	100,0
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების ზრდა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
გადასახდელები	11269,0	10989,7	3625,4	7364,3	7370,8	0,0	7370,8
ხარჯები	6049,4	5896,9	0,0	5896,9	6392,2	0,0	6392,2
არაფინანსური აქტივების ზრდა	5205,8	5023,4	3625,4	1398,0	901,2	0,0	901,2
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
ვალდებულებების კლება	13,7	69,3	0,0	69,3	77,4	0,0	77,4
ნაშთის ცვლილება	-829,7	-592,0	-281,1	-310,9	0,0	0,0	0,0

მუხლი 3. მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7270.8 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	10 423,1	10 317,6	3 344,3	6 973,4	7 270,8	0,0	7 270,8
გადასახადები	1 091,7	1 180,0	0,0	1 180,0	920,0	0,0	920,0
გრანტები	8 859,9	8 743,6	3 344,3	5 399,4	5 655,8	0,0	5 655,8
სხვა შემოსავლები	471,4	394,0	0,0	394,0	695,0	0,0	695,0

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 920.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა		2018 წლის გეგმა	
		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის

			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1,091.733	1,180.0	0.0	1,180.0	920.0	0.0	920.0
საშემოსავლო გადასახადი	696.862	800.0	0.0	800.0	520.0		520.0
ქონების გადასახადი	394.871	380.0	0.0	380.0	400.0	0.0	400.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	137.935	138.0	0.0	138.0	180.0	0.0	180.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.158	2.0	0.0	2.0	1.0	0.0	1.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	2.158	2.0	0.0	2.0	1.0	0.0	1.0
სასოფლო-სამეურნეო დანაშნულების მიწაზე	201.565	200.0	0.0	200.0	185.0	0.0	185.0
ფიზიკურ პირებიდან	46.791	35.0	0.0	35.0	35.0	0.0	35.0
იურიდიულ პირებიდან	154.774	165.0	0.0	165.0	150.0	0.0	150.0
არასასოფლო- სამეურნეო დანაშნულების მიწაზე	53.213	40.0	0.0	40.0	34.0	0.0	34.0
ფიზიკურ პირებიდან	16.003	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
იურიდიულ პირებიდან	37.210	30.0	0.0	30.0	24.0	0.0	24.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5655.8 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	8,859.897	8,743.6	3,344.3	5,399.4	5,655.8	0.0	5,655.8
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	8,859.897	8,743.6	3,344.3	5,399.4	5,655.8	0.0	5,655.8
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	5,227.500	5,399.4	0.0	5,399.4	5,655.8	0.0	5,655.8
გათანაბრებითი ტრანსფერი	5,064.500	4,896.7	0.0	4,896.7	5,500.8	0.0	5,500.8

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	163.000	155.0	0.0	155.0	155.0	0.0	155.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	0.000	347.7	0.0	347.7	0.0	0.0	0.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,632.397	3,344.3	3,344.3	0.0	0.0	0.0	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,647.140	3,344.3	3,344.3	0.0	0.0	0.0	0.0
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	985.257	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 695.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	471.437	394.0	0.0	394.0	695.0	0.0	695.0
შემოსავლები საკუთრებიდან	368.106	325.0	0.0	325.0	600.0	0.0	600.0
პროცენტები	66.575	50.0	0.0	50.0	50.0	0.0	50.0
რენტა	301.531	275.0	0.0	275.0	550.0	0.0	550.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	285.321	265.0	0.0	265.0	500.0	0.0	500.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	16.210	10.0	0.0	10.0	50.0	0.0	50.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	24.121	19.0	0.0	19.0	25.0	0.0	25.0

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	18.213	14.0	0.0	14.0	20.0	0.0	20.0
სანებართვო მოსაკრებელი	5.076	4.0	0.0	4.0	10.0	0.0	10.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.200	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	0.007	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	12.930	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	5.908	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	5.908	5.0	0.0	5.0	5.0	0.0	5.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	61.601	50.0	0.0	50.0	70.0	0.0	70.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	17.609	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაფინანსური აქტივების კლება	63.793	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
არაწარმოებული აქტივები	63.793	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
მიწა	63.793	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 6392.2 ათ. ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	6 049,4	5 896,9	0,0	5 896,9	6 392,2	0,0	6 392,2
შრომის ანაზღაურება	1 833,7	1 551,5	0,0	1 551,5	1 555,7	0,0	1 555,7
საქონელი და მომსახურება	834,6	888,5	0,0	888,5	1 154,3	0,0	1 154,3

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
პროცენტი	66,7	94,8	0,0	94,8	141,1	0,0	141,1
სუბსიდიები	2 173,9	2 622,3	0,0	2 622,3	2 694,2	0,0	2 694,2
გრანტები	5,0	0,6	0,0	0,6	0,0	0,0	0,0
სოციალური უზრუნველყოფა	631,3	559,3	0,0	559,3	635,8	0,0	635,8
სხვა ხარჯები	504,3	179,9	0,0	179,9	211,1	0,0	211,1

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 801.2 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 901.2 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	193,3	14,5	0,0	14,5	22,0	0,0	22,0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4928,1	4964,9	3625,4	1339,5	879,2	0,0	879,2
04 00	განათლება	7,4	8,1	0,0	8,1	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	74,5	35,4	0,0	35,4	0,0	0,0	0,0
06 00	მოსახლეობის სოციალური დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,6	0,5	0,0	0,5	0,0	0,0	0,0
	სულ	5205,8	5023,4	3625,4	1398,0	901,2	0,0	901,2

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 100.0 ათ. ლარის ოდენობით.

დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
არაფინანსური აქტივების კლება	63.8	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
არაწარმოებული აქტივები	63.8	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0
მიწა	63.8	80.0	0.0	80.0	100.0	0.0	100.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 867,2	2 208,7	0,0	2 208,7	2 484,9	0,0	2 484,9
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 867,2	2 207,7	0,0	2 207,7	2 434,9	0,0	2 434,9
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2 867,2	2 174,7	0,0	2 174,7	2 394,9	0,0	2 394,9
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0,0	33,0	0,0	33,0	40,0	0,0	40,0
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0,0	1,0	0,0	1,0	50,0	0,0	50,0
702	თავდაცვა	70,9	69,5	0,0	69,5	75,0	0,0	75,0

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 764,3	4 263,4	3 222,7	1 040,7	678,7	0,0	678,7
7045	ტრანსპორტი	2 700,4	3 266,1	2 920,8	345,3	120,1	0,0	120,1
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2 700,4	3 266,1	2 920,8	345,3	120,1	0,0	120,1
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	1 064,0	997,3	301,9	695,4	558,6	0,0	558,6
705	გარემოს დაცვა	488,8	874,4	0,0	874,4	510,8	0,0	510,8
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	387,3	772,2	0,0	772,2	500,0	0,0	500,0
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	101,6	102,2	0,0	102,2	10,8	0,0	10,8
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	1 366,2	865,9	402,7	463,2	500,8	0,0	500,8
7061	ბინათმშენებლობა	286,7	378,0	153,5	224,5	293,2	0,0	293,2
7063	წყალმომარაგება	20,2	64,5	0,0	64,5	10,0	0,0	10,0
7064	გარე განათება	197,4	172,2	0,0	172,2	196,6	0,0	196,6
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	861,9	251,2	249,2	2,0	1,0	0,0	1,0
707	ჯანმრთელობის დაცვა	414,6	355,0	0,0	355,0	410,0	0,0	410,0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	84,9	85,0	0,0	85,0	90,0	0,0	90,0
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	329,7	270,0	0,0	270,0	320,0	0,0	320,0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1 156,9	1 033,2	0,0	1 033,2	1 178,2	0,0	1 178,2

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა			2018 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	469,9	425,0	0,0	425,0	493,2	0,0	493,2
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	564,2	489,8	0,0	489,8	513,0	0,0	513,0
7083	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	13,8	18,0	0,0	18,0	28,0	0,0	28,0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	71,1	70,0	0,0	70,0	60,0	0,0	60,0
7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	38,1	30,4	0,0	30,4	84,0	0,0	84,0
709	განათლება	754,7	895,3	0,0	895,3	1 088,0	0,0	1 088,0
7091	სკოლამდელი აღზრდა	750,6	850,0	0,0	850,0	1 030,0	0,0	1 030,0
7092	ზოგადი განათლება	4,1	25,3	0,0	25,3	40,0	0,0	40,0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	4,1	25,3	0,0	25,3	40,0	0,0	40,0
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	0,0	20,0	0,0	20,0	18,0	0,0	18,0
710	სოციალური დაცვა	371,4	355,0	0,0	355,0	367,0	0,0	367,0
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	163,7	176,0	0,0	176,0	192,5	0,0	192,5
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	207,7	179,0	0,0	179,0	174,5	0,0	174,5
	სულ	11 255,3	10 920,4	3 625,4	7 295,0	7 293,4	0,0	7 293,4

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 77.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -77.4 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 40.0 ათასი ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის გადაწყვეტილებების შესაბამისად.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 155.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 90.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 62.7 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 1.3 ათასი ლარი;

დ) „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილებით გათვალისწინებულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის 1.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

მარტვილის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუნიციპალიტეტის პრიორიტეტის დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განვითარების ერთ-ერთ ძირითად დოკუმენტს, რომელიც ასახავს ინფორმაციას საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის შესახებ, ანუ მასში გათვალისწინებულია ძირითადი პრიორიტეტები და მიმართულებები გასული, მიმდინარე, დასაგეგმი და დასაგეგმის შემდგომი სამი წლისათვის.

2018 წლისთვის, ისევე როგორც 2016-2017 წლებში შემუშავდა 2018 – 2021 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ძირითადი პრიორიტეტებია:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება;
- განათლება;
- კულტურა, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი;
- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები, თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება.

სწორედ ამ პრიორიტეტების გათვალისწინებით მოხდა მარტვილის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტის დაგეგმვა, რომელიც ასახავს მუნიციპალიტეტის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს და საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში იმ პრობლემების გადაწყვეტის მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს, რომელიც ყველაზე აქტუალურია საზოგადოებისათვის.

მომდევნო 2018-2021 წლებშიც მუნიციპალიტეტში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარებას, მოსახლეობის სოციალური პრობლემების გაუმჯობესებას, საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ხელშეწყობას, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვას, სკოლამდელი განათლების სრულყოფას.

2016 წელი -ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივების კლება, ფინანსური აქტივების კლება, ვალდებულებების ზრდა) გეგმა განისაზღვრა 10456,4 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 10486,9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 103%-ი. მათ შორის:

გადასახადების სახით მობილიზებულია 1091,7 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 1135,2 ათასი ლარის 96%. საშემოსავლო გადასახადი მიღებულია 696,9 ათასი ლარი, ქონების გადასახადიდან მიღებულია 394,9 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადი - 137,9 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონების გადასახადი - 2,2 ათასი ლარი, მიწაზე ქონების გადასახადი - 254,8 ათასი ლარი.

გრანტების სახით მიღებულია 8859,9 ათასი ლარი, მათ შორის: გათანაბრებითი ტრანსფერი - 5064,5 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 163,0 ათასი ლარი, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით მიღებულია - 2647,1 ათასი ლარი, სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განსახორციელებელი პროექტებისათვის 985,3 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 471,4 ათასი ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის 348,0 ათასი ლარის 135%-ია.

დასახელება	2016 წელი			
	გეგმა	ფაქტი	+/-	%
შემოსავლები	10 406,4	10 423,0	16,6	100,2
გადასახადები	1 135,2	1 091,7	-43,5	96,2
გრანტები	8 923,2	8 859,9	-63,3	99,3
სხვა შემოსავლები	348,0	471,4	123,4	135,5

არაფინანსური აქტივების კლებიდან 2016 წელს მობილიზებული იქნა 63,8 ათასი ლარის შემოსავალი, რაც გეგმის (50,0 ათასი ლარის) 127,6%-ია. აღნიშნული შემოსავალი შემოსულია არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან.

2016 წლის დასაწყისისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 1354.1 ათასი ლარი, ხოლო 2016 წლის ბოლოსათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა მთლიანობაში შეადგინა 592.0 ათასი ლარი.

2016 წელს **გადასახდელების** საკასო შესრულების მაღალი - 95,2%-იანი მაჩვენებელი დაფიქსირდა, რაც 11269,0 ათას ლარს შეადგენს.

მარტვილის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა:

- საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება – 2867,2 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 70,9 ათასი ლარი;
- ეკონომიკური საქმიანობა – 3764,3 ათასი ლარი;
- გარემოს დაცვა – 488,8 ათასი ლარი;
- საბინაო-კომუნალური მეურნეობა – 1366,2 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა – 414,6 ათასი ლარი;
- დასვენება, კულტურა და რელიგია – 1156,9 ათასი ლარი;
- განათლება – 754,7 ათასი ლარი;
- სოციალური დაცვა – 371,4 ათასი ლარი.

2016 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე მიმართულმა სახსრებმა შეადგინა 11269,0 ათასი ლარი, რაც გეგმის (11842,3 ათასი ლარი) 95,2%-ია. მათ შორის:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 5630,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (6091,1 ათასი ლარი) 92,4%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 786,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (789,2 ათასი ლარი) 99,6%-ია;
- განათლება - 756,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (799,0 ათასი ლარი) 94,7%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 1157,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1166,7 ათასი ლარი) 99,2%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 70,9 ათასი ლარი, რაც გეგმის (82,6 ათასი ლარი) 85,8%-ია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 2867,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (2913,7 ათასი ლარი) 98,4%-ია.

გარდა ამისა, 2016 წლის განმავლობაში განხორციელდა მარტვილის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის სხვადასხვა სოციალური დახმარებები, კერძოდ:

▪ **უკიდურესად შეჭირვებულთა სამედიცინო დახმარება** (სამედიცინო სადაზღვეო პროგრამით დაუფინანსებელი თანხის თანადაფინანსება) გაეწია ---ბენეფიციარს, ამ მიზნით გაიხარჯა 329,3 ათასი ლარი.

▪ მუნიციპალიტეტში მცხოვრები 100 წლის და 100 წელს გადაცილებული მოქალაქეების მატერიალური დახმარება 500 ლარის ოდენობით გაეწია 4 ბენეფიციარს.

▪ უკიდურესად შეჭირვებულთა ერთჯერადი დახმარება გაეწია 660 ბენეფიციარს თითოეულს 100 ლარის ოდენობით. ჩერნობილის ავარიის შედეგად დაზარალებულ 15 ბენეფიციარს გაეწია ერთჯერადი დახმარება 150 ლარის ოდენობით. დიალეზზე მყოფი ავადმყოფების დიალიზის ცენტრში ტრანპორტირების ერთჯერადი დახმარება გაეწია 23 ბენეფიციარს თითოეულს 1200 ლარის ოდენობით. პირვერილი ჯგუფის უსინათლოების ერთჯერადი დახმარება გაეწია 37 ბენეფიციარს თითოეულს 150 ლარის ოდენობით.

▪ ბინის ქირის საკომპენსაციო თანხებით დახმარება გაეწია მუნიციპალიტეტში მცხოვრებ 8 ოჯახს და ამ მიზნით მიიმართა 6,1 ათასი ლარი;

- 56 მრავალშვილიან ოჯახს გაეწია მატერიალური დახმარება თითოეულს 200 ლარის ოდენობით, ამ კუთხით გაიხარჯა 11,2 ათასი ლარი.
- ობოლი ბავშვების დახმარების მიზნით გაიხარჯა 47,5 ათასი ლარი, დახმარება გაეწია 236 ბენეფიციარს.
- 18 წლამდე შშმ ბავშვთა ერთჯერადი დახმარება 200 ლარის ოდენობით გაიცა 99 ბენეფიციარზე, თანხამ შეადგინა 19,8 ათასი ლარი.
- ახალშობილთა დახმარება თითოეულ ბავშვზე შეადგენს 250 ლარს (ბენეფიციართა რაოდენობა 340) , აღნიშნული მიზნით მიიმართა 85,2 ათასი ლარი.

2017 წელი - ბიუჯეტის მაჩვენებლები

მარტვილის მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტის 2017 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 10989,7 ათას ლარს. ბიუჯეტის შემოსავლების სახით 2017 წლის 9 თვის მონაცემებით მობილიზებულია 7461,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (10397,6 ათასი ლარი) 72%-ია, მათ შორის:

გადასახადების ფაქტიურმა შესრულებამ 9 თვეში შეადგინა 702,0 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (1180,0 ათასი ლარი) 60%-ია;

გრანტების სახით ბიუჯეტში ჩარიცხულია 5867,8 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (8743,6 ათასი ლარი) 67%-ია, აქედან: კერძოდ: გათანაბრებითი ტრანსფერი – 3672,9 ათასი ლარი, მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად – 116,1 ათასი ლარი, სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად 173,8 (ფაროსანას საწინაარმდეგო ღონისძიებების დასაფინანსებლად), საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან კაპიტალური ტრანსფერის სახით - 1904,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების სახით მობილიზებულია 625,9 ათასი ლარი, რაც წლიური გეგმის (394,0 ათასი ლარი) 159%-ია, მათ შორის: პროცენტების სახით მიღებულია 26,9 ათასი ლარი, რენტის სახით მობილიზებულია 437,8 ათასი ლარი, საქონლისა და მომსახურების რეალიზაციიდან მიღებულია 83,5 ათასი ლარი, შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლებიდან მიღებულია 10,6 ათასი ლარი.

არაფინანსური აქტივებიდან მობილიზებულია 266,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (80,0 ათასი ლარი) 329%-ია, მათ შორის: ძირითადი აქტივების გაყიდვიდან 2,8 ათასი ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწის) გაყიდვიდან 263,4 ათასი ლარი.

2017 წლის 1 იანვრისათვის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებულმა ნაშთმა შეადგინა 624.8 ათასი ლარი, რომლიდანაც 32.7 ათასი ლარი გათვალისწინებულია სახელმწიფო ბიუჯეტში დასაბრუნებლად, ხოლო 529.0 მიმართულია 2017 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა ღონისძიებების დასაფინანსებლად.

2017 წელს განსაზღვრულ პრიორიტეტებზე 9 თვის განმავლობაში მიმართულ იქნა 7330,0 ათასი ლარი (წლიური გეგმის 10,989,7 ათასი ლარის 67%-ი). მათ შორის:

- ინფრასტრუქტურისა და მუნიციპალური კომუნალური სერვისების განვითარება - 3819,1 ათასი ლარი, რაც გეგმის (6073,0 ათასი ლარი) 62,9%-ია;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 572,3 ათასი ლარი, რაც გეგმის (710,0 ათასი ლარი) 80%-ია;
- განათლება - 564,2 ათასი ლარი, რაც გეგმის (895,3 ათასი ლარი) 63%-ია;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 742,6 ათასი ლარი, რაც გეგმის (1033,2 ათასი ლარი) 72%-ია;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 50,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (69,5 ათასი ლარი) 72%-ია;
- მარტვილის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 1581,4 ათასი ლარი, რაც გეგმის (2208,7 ათასი ლარი) 72%-ია.

1.თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება

მარტვილის მუნიციპალიტეტში საზოგადოებრივი წესრიგის და უსაფრთხოების, აგრეთვე საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების მიერ.

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა შერჩევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 03)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის მარტვილის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელების შერჩევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტია. ამ პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია, ქალაქის საცხოვრებელი უბნების ეზოების, დასასვენებელი პარკების და მაღალსართულიანი საცხოვრებელი კორპუსების კეთილმოწყობა, გაზომომარაგებისა და წყალმომარაგების სამუშაოები, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხოდები პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია.

2.1.1 გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა(პროგრამული კოდი 03 01 01) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია. მარტვილის მუნიციპალიტეტის შიდა გზები დაახლოებით 1000-კმ. აჭარბებს აქედნ გამომდინარე შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციასა მოწყობის საკითხი მუნიციპალიტეტისთვის ერთერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

2.1.2 ხიდ-ბოგირები მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 02) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ხიდ-ბოგირების მდგომარეობის შენარჩუნება და მუნიციპალიტეტის სოფლებში ხიდ-ბოგირების რეაბილიტაცია. მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ წლებში როგორც „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით" ასევე ადგილობრივი ბიუჯეტით და სტიქიის კუთხით გამოყოფილი თანხებით უამრავი ხიდისა და ბოგირების რეაბილიტაცია მოხდა, მაინც არის ობიექტები რომელთა რეაბილიტაციაც აუცილებელია.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობა, გარე განათების ქსელის გაფართოება, წყალსადენის ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები, არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული

მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.1 შენობების და სახურავების რეაბილიტაცია, რეკონსტრუქცია (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში საბავშვო ბაღის მშენებლობა სოფ. დიდ ჭყონში (პირველი ეტაპი), სოფ. ვედიდკარში უსახლკაროების საცხოვრებელი შენობის რეაბილიტაცია (მე-2 ეტაპი), მუნიციპალიტეტის გამგეობის რეაბილიტაცია და სხვ ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

2.2.2 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის ექსპლოატაცია, რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ახალი წერტილების მოწყობა. ქალაქის იერსახის შენარჩუნება.

2.2.3 წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენის ქსელის რეაბილიტაცია-ექსპლუატაცია.

2.2.4 პარკების სკვერებისა და მათი მიმდებარე ინფრასტრუქტურის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება არსებული სკვერებისა და პარკების მოვლა, ფეხით მოსიარულეთა ტროტუარების მოწყობა, სადღესასწაულო დღეებისათვის ქალაქის გაფორმება, ახალი ხეების დარგვა და გამწვანების ზოლებში ყვავილებისა და სხვა დეკორატიული მცენარეების განაშენიანება, არსებული შადრევნების ექსპლოატაცია და საჭიროების შემთხვევაში მათი რეაბილიტაცია.

2.2.5 საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 02 05)

